# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

რეალობის ნატიფი გრძნობით



## ქართული სპექტაკლების პროგრამა

## GEORGIAN SHOWCASE PROGRAM 2017

**www.tbilisiinternational.com**
+995 32 295 35 82 | 247 57 68

განსაკუთრებული მადლობა
**JTI**-ის მხარდაჭერითვის

SPECIAL THANKS TO **JTI**
FOR GENEROUS SUPPORT

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი თბილისის მერია
Tbilisi International Festival of Theatre is Initiated and Hosted by Tbilisi City Hall

# თბილისის მერია

## WELCOME TO GEORGIAN SHOWCASE

**Tbilisi International Festival Of Theatre** introduced **Georgian Showcase** in 2009 as one of the basic programs of the Festival with an aim to promote Georgian Theatre and its integration within the world cultural network.
GEORGIAN SHOWCASE is a new platform for international exchange: to a number of Georgian Companies and artists it is the opportunity to build new relationships, create co-productions, tour and exchange artists; while for international guests it is a discovery of new possibilities for their programming and future plans.
The program includes theatre, new writing; movement and contemporary dance - new experiences and creative forms of making theatre. It is a big and very interesting program with more than 25 performances from capital – Tbilisi and regions of Georgia.

## DATES: OCTOBER 2-6, TBILISI, GEORGIA

Each year we show newest productions of Georgian Theatre. The Georgian Showcase consists of performances carefully selected for the program by group of **Georgian critics**. Together with the selected and recommended performances, we have special program as SHOWCASE PREMIERS.
The 4 days of intensive program will give you an insight into the vital, innovative, challenging theatre from Georgia. We would like to build new international profile and foster new collaborations.

## MORNING MEETINGS

**The schedule of Showcase is tight. We usually start with morning meetings with international guests and theatre representatives from Georgia.** Morning Meeting offers an opportunity to see and talk to performance companies about their work and plan the day.

**Volunteers**
This is a very special part of Festival - the group of festival young volonteers – they will be with you for the whole stay in Tbilisi, helping with everything, answering your questions and guiding you during your theatre voyage.

## FESTIVAL CLUB

There is no Festival without club – we start with conversations in the morning, continue with performances during the day and the day will be completed with Georgian Wine, Music, atmosphere , nice atmosphere and possibility to relax or discuss.
So, Welcome to STRADA in the evenings!

## TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

**Tbilisi International Festival Of Theatre** is one of the most important cultural events of autumn Tbilisi. Besides Tbilisi, the festival has become one of the main performing arts events in Caucasia and in the Black Sea countries.
**Tbilisi International Festival Of Theatre** was founded in 2009 with an aim to popularize Tbilisi, its culture and its unique creative atmosphere.
Every September throughout October the festival gathers artists from all around the world in Tbilisi, the city where their most courageous ideas are truly valued; where the experienced audience is waiting to greet them.

## THE PROGRAM OF FESTIVAL

- INTERNATIONAL PROGRAM
- INTERNATIONAL PROGRAM "NEW"
- GEORGIAN SHOWCASE
- NEW MARKET of Caucasia and Black Sea Countries (in planning)

Master classes, workshops and exhibitions Special events and programs for artists, public and guests.

Every festival has its own, unique style and many of them have attempted to become the platforms for discussion. The discussion about the differences of the forms and the stories; new attitudes and unique, brand new viewpoints; new possibilities. Every festival is step towards new discoveries!

**www.tbilisiinternational.com**

Georgian Theatre program could be a very interesting documentation of Georgian Theatre, Culture and state of country in recent years. From the first program in 2009 till now - it is not only the story of stage, but it is the story about modern Georgia - with all its ups and downs, success and failures, hopes and possibilities.

Theatre is a lifestyle to Georgians; It always have been a moral temperature of the nation - one only has to look briefly to points of its history: the first professional theatre company was engaged in war – none of them survived the battles; it was 18th century; later in 20th century the resistance against communist regime and urge for independence was strongest impulses for society from theatre; finally freedom with all its hardships and unrest, burst of social changes; wars in dark 90ies and the idea of new citizens marked the history of post-soviet theatre in Georgia. Europe is not the same as well.
Past is in memory, but energy comes from possibilities of future.

So, here we are with the Theatre Program – in between past and future with on-going today. With the new drama and Classics of Georgian play-writing, with performances from well-known State and independent Theatres as well as young independent groups.

Welcome to Georgian ShowCase — Program 2017

*Ekaterina Mazmishvili*

*ART Director*
*Tbilisi International Festival Of Theatre*





# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

*ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე*

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში, ყველაზე არტისტულ და თეატრალურ ქვეყანაში, სადაც უყვართ თეატრი, სადაც ცხოვრობენ თეატრით. ბევრი თქვენგანი კვლავ დაბრუნდა მონატრებულ ქართულ თეატრთან შესახვედრად, რომელიც მდიდარია „სამხრეთული ტემპერამენტით" და „მამაცი არტისტულობით", რამდენიმე თქვენგანი კი პირველადაა აქ, ახლა ეცნობა მას ახლოდან. გარწმუნებთ, რომ თქვენც დაბრუნდებით, რადგან შეგიყვარდებათ არა მხოლოდ ქართული თეატრი და საქართველო, არამედ ხალხი, რომელიც აქ ცხოვრობს და მოგენატრებათ ის გულწრფელი სითბო, რომელსაც აქ იგრძნობთ თითოეული ფეხის ნაბიჯზე, ქუჩასა თუ სახლში სრულიად უცხო ადამიანებისგან. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ნამდვილად შეგიწყობთ ხელს, რომ უკეთ გაეცნოთ საქართველოს და ქართულ თეატრს, ამაში მალე თავად დარწმუნდებით.

თანამედროვე ქართული თეატრი დიდი ევროპული თეატრალური ოჯახის ნაწილია. თუმცა, ამავე დროს, არ კარგავს ინდივიდუალურ მახასიათებლებს და წინაპართა გაკვალულ გზას მისდევს.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის 2017 წლის ქართული სპექტაკლების პროგრამა დახუნძლულია სიტკბოებითა და რაციონალიზმით, ეროვნული კოლორიტითა და ევროპული სურნელით, ახალი სამყაროს ძიებითა და გამოცდილებათა გადაფასების პროცესით. წარმოდგენილი სპექტაკლების 70% ახალგაზრდების ნამუშევრებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ღირსეულ კონკურენციას უწევენ საშუალო ან თუნდაც უფროს თაობებს. საშუალო თაობას კი წელს წარმოადგენენ: დავით დოიაშვილი სპექტაკლით „ბალიშის კაცუნა" (მუსიკისა და დრამის თეატრი), რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე, გიორგი სიხარულიძის „რევიზორი" (ქუთაისის დრამატული თეატრი) გოგოლის ცნობილი კომედიის განსხვავებული და თვალისმომჭრელი სცენური ინტერპრეტაციაა, ხოლო ლევან წულაძის „ბაკულას ღორები" კლასიკური ქართული მწერლობის ერთ–ერთი ნიმუშის ძალზედ ორიგინალური გადაწყვეტაა, რომელიც ტრაგიკომიკურობის ჟანრში ერთდროულად ბევრ სევდას და იუმორს გვრის მაყურებელს. იგი არა მხოლოდ ქართულ, არამედ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს ეხება.

გურამ მაცხონაშვილის „გათვლა" თანამედროვე ქართველი მწერლის ორიგინალური რომანის თეატრის ენით უცნაურად თხრობას წარმოადგენს, სადაც ომის ფონზე ვეცნობით ორი თინეიჯერის ცხოვრებას. პაატა ციკოლიას „მე მქვია ლალი" კი მომავლის ეპოქას ეხება, რეჟისორი წინასწარ გვმაზადებს იმ პრობლემებთან შესახვედრად, რაც შეიძლება მომავალში, კიბერსივრცის ეპოქაში შეგვხდეს და მასთან გამკლავება მოგვიხდეს. დათა თავაძის „სახეები" კი მთლიანად ახალგაზრდული ნამუშევარია, რომელიც სათეატრო თხრობის ორიგინალური ენითა და ფორმით გამოირჩევა. ახალგაზრდა რეჟისორ-პედაგოგის შეხვედრა სტუდენტებთან თავისუფალ გარემოში მეტად საინტერესო გამოცდილებას იძლევა შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში.

უკვე ტრადიციად იქცა ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში პრემიერების გამართვა. თეატრები განგებ სთავაზობენ ფესტივალის მაყურებელს ახალ სპექტაკლებს და, საბედნიეროდ, ხშირად სასიამოვნო სიურპრიზიც გამოსდით ხოლმე.

„Georgian Show Case 2017"-ის პროგრამაში რამდენიმე საინტერესო რეჟისორის ორიგინალური დადგმაც გველოდება. ცხადია, ქართული თეატრი ცდილობს ფეხი აუწყოს ყველა სიახლეს და ევროპულ ბაზარზე თავადაც გახდეს გარკვეული აღმოჩენების სტიმულატორი. სიახლისკენ დაუოკებელი სწრაფვა და ტრადიციის მოურიდებელი მოდერნიზაცია ქართული თეატრის მთავარი მახასიათებელია. მოდით არ იჩქაროთ, მშვიდად მივყვეთ ფესტივალზე წარმოდგელილ რეპერტუარს და მეტნაკლებად დავინახავთ იმ სურათს, რომელიც ამ დროისთვის იკვეთება ქართულ თეატრში.

# WELCOME

*Lasha Chkhartishvili, Theatre critic*

Welcome to Georgia, the most artistic and theatrical country, where people love and live for theater. Many of you have come back to be reunited with the memories of longed Georgian theatre, rich with "southern temperament" and "brave artistry", some of you get to experience it for the first time. I assure you, that you too will come back to it, since you will fall in love with Georgian theatre and the country, as well as people who live here. You will miss their sincere warmth, which you will feel whilst every step of your journey here, no matter if it is from a complete stranger in the street, or in the presence of your host. Tbilisi International Festival of Theatre will help you become familiar with Georgia and Georgian theatre.

Georgian contemporary theatre is a part of big European theater family. At the same time, it is distinguished with own style and follows the trail paved by the ancestors and stays loyal to its individual characteristics.

Georgian ShowCase Program 2017 Tbilisi is filled with sweetness and rationalism, national diversity and European aroma, with the intention to find the new world and provocations. 70% of presented performances are works of the youth, meaning that they show a worthy competition to the elder generation. The representatives of the elder generation this year are; Davit Doiashvili with performance "Pillow Man" (Music and Drama Theatre), which will leave an unforgettable influence on the audience, Giorgi Sikharulidze's "The Government Inspector" (Kutaisi State Drama Theatre) an enchanting interpretation of Nikolai Gogol's renown comedy, and likewise, Levan Tsuladze's "Bakula's Pigs" an original example of Georgian classical works, tragic-comedy, which brings a lot of tears and laughter to audience and touches upon the problems of a mankind in general.

Guram Matskhonashvili's "Counting Out" represents an exceptional way of a theatrical performance of a novel by a contemrorary Georgian writer, where we are told about the lives of two teenagers during the time of the war. Paata Tsikolia's "My name is Lali" touches the future era. This director prepares us for the futuristic problems that people will have to struggle against at time of the cyber-space. Data Tavadze's "Faces" is entirely young work, which is distinguished by its original theatrical narration. Meeting of young stage director-teacher with students in free environment gives birth to very interesting experience.

It has become a tradition to organize opening nights in the program of Georgian ShowCase. Theatres deliberately offer new performances to the audience, and fortunately, surprises are very fruitful.

So, Georgian Show Case in 2017 suggest several original performances by very interesting directors. It is obvious, that Georgian theatre tries to keep up with all kinds of modernity and by itself tries to become the stimulator of new discoveries for the European market. Yearning for the news and modernization of traditions are the main characteristics of the Georgian theatre. Let's not hurry and take our time to go ahead with current ShowCase program, which more or less paints recent image of the Georgian theatre.



ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი
Tbilisi International Festival of Theatre is Initiated and Hosted by Tbilisi City Hall

თბილისის მერია

ფესტივალის მხარდამჭერი
Main Support by Ministry of Culture and Monument Protection of Georgia

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

განსაკუთრებული მადლობა JTI- ს მხარდაჭერისათვის
Special Thanks to JTI for Generous Support

ოფიციალური მასპინძელი
Official Host Hotel

ROOMS HOTELS
— TBILISI —

ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები - ყველა იმსახურებს ჩვენს გულითად მადლობას. მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა!

Founders, Partners and Festival Friends – All deserve our greatest thanks!
Without their support The Festival would not have been possible!

## ფესტივალის მეგობრები დაარსების დღიდან
## Partners and Friends since establishment

## საერთაშორისო პროგრამის და პროექტების პარტნიორები
## International Program and Projects Partners

## ფესტივალის პარტნიორები
## Festival Partners

## საინფორმაციო მხარდაჭერა
## Media Support

## ინტერნეტ პარტნიორები
## Internet Partners

## ფესტივალის კლუბი
## Festival Club

ფესტივალის მხარდამჭერი
Festival's Main Supporter

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲫᲔᲒᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ
ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
Ministry of Culture and Monument Protection of Georgia

**www.tbilisiinternational.com**

# სარჩევი | CONTENT

## რეკომენდირებული პროგრამა | RECOMMENDED PROGRAM


**ბაკულას ღორები | BAKULA'S PIGS** 19
დავით კლდიაშილი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
After After David Kldiashvili Story "Bakula's Pigs" - Kote Marjanishvili State Drama Theatre

**მე მქვია ლალი | MY NAME IS LALI** 45
პაატა ციკოლია, დამოუკიდებელი პროექტი „MONO ტრილოგია“
Paata Tsikolia - Indipendent Project "MONO"

**სახეები | FACES** 41
იასუნარი კავაბატა, სამეფო უბნის თეატრი
After Yasunari Kawabata - Royal District Theatre in collaboration with Shota Rustaveli Theatre and Film State University of Georgia

**ბალიშის კაცუნა | THE PILLOWMAN** 29
მარტინ მაკდონა, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
Martin McDonough, Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama Professional State Theater

**რევიზორი | THE GOVERNMENT INSPECTOR** 51
ნიკოლოზ გოგოლი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
Nikolai Gogol - Kutaisi Lado Meskhishvili State Professional Drama Theatre


## პრემიერები | PREMIERS


**ნავიგატორი | THE NAVIGATOR** 23
ლაშა ბუღაძე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
Lasha Bugadze - Kote Marjanishvili State Drama Theatre

**მშობელთა კრება | PARENTS MEETING** 59
ტექსტი შექმნილია მსახიობებისა და რეჟისორების მიერ, ღია სივრცე
Text is created by directors and actors co-work - Open Space of Experimental Art

**წყურვილი | CRAVE** 35
სარა კეინი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
Sarah Kane - Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama Professional State Theater

**სეილემის პროცესი | THE CRUCIBLE** 55
არტურ მილერი, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი
Arthur Miller - Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ 2017

| თეატრი | ადგილი | დრო | სპექტაკლი | ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|---|
| **2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | | | |
| სამეფო უბნის თეატრი | სამეფო უბნის თეატრი | 16:00 | **სახეები** | 90 წუთი, შესვენების გარეშე |
| ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ თეატრი | შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 20:00 | **რევიზორი** | 90 წუთი, შესვენების გარეშე |
| **3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | | | |
| ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი | ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი | 13:30 | **ბალიშის კაცუნა** | 190 წუთი, ორი შესვენებით |
| სამეფო უბნის თეატრი | სამეფო უბნის თეატრი | 19:00 | **სახეები** | 90 წუთი, შესვენების გარეშე |
| კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი | კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 20:30 | **ნავიგატორი** | 90 წუთი, შესვენების გარეშე |
| **4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | | | |
| ღია სივრცე ექსპერიმენტული ხელოვნებისთვის | ბერი გაბრიელ სალოსის 1-ლი შესახვევი #2 | 13:00 | **მშობელთა კრება** | 180 წუთი, შესვენების გარეშე |
| დამოუკიდებელი პროექტი „MONO ტრილოგია" | დროებით უცნობია | 18:00 | **მე მქვია ლალი** | 60 წუთი, შესვენების გარეშე |
| კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი | კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 20:00 | **ნავიგატორი** | 90 წუთი, შესვენების გარეშე |
| **5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | | | |
| ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი | ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი | 13:00 | **წყურვილი** | 70 წუთი, შესვენების გარეშე |
| დამოუკიდებელი პროექტი „MONO ტრილოგია | დროებით უცნობია | 18:00 | **მე მქვია ლალი** | 60 წუთი, შესვენების გარეშე |
| ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი | ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი | 19:00 | **სეილემის პროცესი** | 150 წუთი, ერთი შესვენებით |
| **6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | | | |
| ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი | ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი | 19:00 | **სეილემის პროცესი** | 150 წუთი, ერთი შესვენებით |
| კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი | კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 20:00 | **ბაკულას ღორები** | 120 წუთი, ერთი შესვენებით |

# GEORGIAN SHOWCASE PROGRAM 2017

| Theatre | Venue | Time | Performance | Duration |
|---|---|---|---|---|
| **OCTOBER 2** | | | | |
| Royal District Theatre | Royal District Theatre | 16:00 | **The Faces** | 90 Minutes, Without Interruption |
| Lado Meskhishvili Professional State Drama Theatre, Kutaisi | Shota Rustaveli State Drama Theatre | 20:00 | **The Government Inspector** | 90 Minutes, Without Interruption |
| **OCTOBER 3** | | | | |
| Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama State Professional Theatre | Tbilisi Vaso Abashidze Musical Come-dy and Drama State Professional Theatre | 13:30 | **The Pillow Man** | 190 Minutes, With Two Interruptions |
| Royal District Theatre | Royal District Theatre | 19:00 | **Faces** | 90 Minutes, Without Interruption |
| Kote Marjanishvili State Drama Theatre | Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big stage) | 20:30 | **The Navigator** | 90 Minutes, Without Interruption |
| **OCTOBER 4** | | | | |
| Open Space of Experimental Art | Beri Gabriel Salosi 1Turn, #2 | 13:00 | **Parents Meeting** | 180 Minutes, With-out Interruption |
| Independent Project „MONO Trilogy | To Be Confirmed | 18:00 | **My Name is Lali** | 60 Minutes, Without Interruption |
| Kote Marjanishvili State Drama Theatre | Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big stage) | 20:00 | **The Navigator** | 90 Minutes, Without Interruption |
| **OCTOBER 5** | | | | |
| Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama State Professional Theatre | Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama State Professional Theatre | 13:00 | **Crave** | 70 Minutes, Without Interruption |
| Independent Project „MONO Trilogy | To Be Confirmed | 18:00 | **My Name is Lali** | 60 Minutes, Without Interruption |
| Nodar Dumbadze State Youth Theatre | Nodar Dumbadze State Youth Theatre | 19:00 | **The Crucible** | 150 Minutes, With One Interruption |
| **OCTOBER 6** | | | | |
| Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre | Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre | 19:00 | **The Crucible** | 150 Minutes, With One Interruption |
| Kote Marjanishvili State Drama Theatre | Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big stage) | 20:00 | **Bakula's Pigs** | 120 Minutes, With One Interruption |

## თეატრის შესახებ:

„ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა – მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა.“

სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, დიდმა ქართველმა რეჟისორმა და რეფორმატორმა კოტე მარჯანიშვილმა მეორე ქართული სახელმწიფო თეატრი შექმნა. მარჯანიშვილის თეატრს წლების განმავლობაში ქმნიდნენ ცნობილი მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, რომლებმაც მარჯანიშვილის თეატრი თბილისის კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად აქციეს.

თეატრი დღემდე რჩება იმ ტრადიციების გამგრძელებელი, რომელიც დაარსების დღიდან გამოეკვეთა. თეატრს აქვს 3 სცენა: დიდი სცენა, „სხვენი“, და 2013 წლიდან უკვე ახალი სცენა.

2006 წლიდან დღემდე მარჯანიშვილის თეატრს თანამედროვეობის გამორჩეული რეჟისორი ლევან წულაძე ხელმძღვანელობს. თეატრი ყოველთვის კარს უღებს ნოვაციებს. სწორედ ტრადიციისა და ნოვაციის შერწყმით და მაყურებელზე ორიენტირებული რეპერტუარით მან მოახერხა „საზოგადოებრივი“ თეატრის (სოციალური თეატრის) სახელის დამკვიდრება. შეიძლება ითქვას, საკუთარ თავზე აიღო ერთგვარი განმანათლებლისა და სოციალური კომენტატორის ფუნქცია. მარჯანიშვილის თეატრის ცხოვრება მხოლოდ თეატრალური წარმოდგენებით არ შემოიფარგლება. მისი პროფილის შემადგენელი ნაწილია ახალი პიესების მოძიება, კითხვა და დადგმა.

თეატრის წარმატებას განაპირობებს მუდმივად მაყურებლით გადავსებული დარბაზები, რაც იმის მანიშნებელია, რომ „მარჯანიშვილი“ აქტუალური და მიმზიდველია ყველა თაობის მაყურებლისთვის - როგორც ესთეტიკით, ასევე თემებითა და პოზიციით. იმ ეპოქაში, როცა აქა-იქ გაისმის სკეპტიკოსთა აზრები თეატრის საჭიროების შესახებ, „მარჯანიშვილი” თავისი წარმატებით და ანშლაგებით ამტკიცებს, რომ სცენა, ანუ სივრცე, სადაც “ახლა და აქაა” მნიშვნელოვანი აგერ უკვე 25 საუკუნეზე მეტია, არათუ მხოლოდ აქტუალურია, არამედ განუზომლად საჭიროც, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ტექნოლოგიებმა თითქოს სრულად შეცვალეს შთაბეჭდილებების (ინფორმაციის) აღქმის თუ გაცემის მოდელები. ახლებურ, სტრუქტურირებულ და ტექნოლოგიებით სისტემატიზირებულ თუ დიფერენცირებულ სამყაროში “ცოცხალ პროცესს” განსაკუთრებული, უნიკალური მნიშვნელობა ენიჭება: ის, რაც სწორედ ახლა და აქ ხდება თეატრში, არსად და არასდროს განმეორდება, და მისი ღირებულებაც ამაშია. “მარჯანიშვილი” კი სწორედ “ცოცხალი თეატრია” - ცოცხალი პროცესების გამტარი და აკუმულატორი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნეა ეპოქასთან, თავის მაყურებელთან ერთად სუნთქავს...

დაარსებიდან 85 წლის შემდეგ, გაზეთი „გარდიანი“ წერს:

„თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ.“

*„გარდიანი“*

**საკონტაქტო ინფორმაცია**
სამხატვრო ხელმძღვანელი:
ლევან წულაძე
თეატრის მმართველი:
ეკატერინე მაზმიშვილი
საკონტაქტო პირი:
ეკატერინე მაზმიშვილი
ტელ: +995577516850
E-mail: info@marjanishvili.com
eka@marjanishvili.com
www.marjanishvili.com

## About Theater

One of the most revered theatres in Georgia, itself one of the world's great theatre cultures, the Marjanishvili was founded in 1928 by a famous Georgian Stage Director Kote Marjanishvili.

"The aim of art is very simple - to bring happiness and instill courage " – Kote Marjanishvili based his concept of new theatre on new drama and classics, unique ensemble of artists and new technologies by that time.

With the roots in glorious past , Marjanishvili's present is determined by several factors: one of the most distinguished leaders of contemporary Georgian Culture - artistic director Levan Tsuladze and the team around him; public oriented repertory strategy and the constant search for new contemporary theatre language.

Marjanishvili Theatre premieres a minimum of ten shows per season alongside a repertoire of over 30 existing productions.. We work on three stages - Big, "Attic" and "the Basement" with 50 000 spectators every season. The repertoire presents the classics of world literature alongside with the contemporary drama. Georgian classics and modern playwriting is a key component to Theatre.

Theatre is evolving and attractive to all generations of society, not only by creative degree and quality, but also with its active social position.

In the times, when digital technology takes leadership in society, Levan Tsuladze with his artistic team, suggests that stage, as "now and here" fundamental already for 25 centuries , is not only primary today , but also extensively needed . In new world, structured lives and systemized or diversified with technologies world, "live process" gets unique importance; What happens here and now, will never happen anywhere any other time; Marjanishvili is vivid Theatre - accumulator of live and active processes, pulling in professionals and audience; Marjanishvili is a theatre that almost a century breathes with the time and reflects it;

Marjanishvili appears regularly at theatre festivals all over the world with success. We are members of European Theatre convention and hub young generation of artists.

We are connected with co-productions and exchanges to Theaters and artists in UK, Italy, Greece, Poland, Azerbaijan, Germany, Ukraine, Macedonia and Israel.

The Theatre is a hub for intellectuals with different lectures, regular speeches and live exhibitions. We regularly host and participate in presentation of new plays, poetry readings, exhibitions and concerts;

The Theatre was a guest of festivals and toured several of its performances in UK, GERMANY, ITALY, CHINA, TURKEY, POLAND, USA, ROMANIA, TUNISIA, ISRAEL, INDIA and many other countries in the world.

We stimulate artists. We build knowledge and emotion, we offer unique experience and inspire audiences.

"...If all the theatre in Georgia comes anywhere close to the standard of the Marjanishvili company, then the job of theatre critic there must be the most covetable in the land."

*The Guardian, UK*

**Contact Information:**
Artistic director of theatre Levan Tsuladze
Theatre manager Ekaterina Mazmishvili
Contact Person: Ekaterina Mazmishvili
Tel: +995 577 516850
E-mail: info@marjanishvili.com
eka@marjanishvili.com
www.marjanishvili.com



# რეკომენდირებული პროგრამა

დავით კლდიაშილი

## ბაკულას ღორები

ინსცენირება ლევან წულაძისა და ანა ცუცქირიძის

რეჟისორები – ლევან წულაძე, ანა ცუცქირიძე
სცენოგრაფი – ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი – ნინო სურგულაძე
ქორეოგრაფი – გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილის
ვიდეოინსტალაცია ნიკოლოზ გაგლოშვილის
ვიდეოინჟინერი – ზაკო
რეჟისორის თანაშემწე – ნინო ჟორჟოლიანი
სპექტაკლში გამოყენებულია ციტატა ოსიპ მანდელშტამის ჩანაწერებიდან

მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნატა მურვანიძე, როლანდ ოქროპირიძე, ანა ვასაძე, კოკო როინიშვილი, ბესო ბარათაშვილი, ბაჩუკი დოღონაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, მარიამ სუჯაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ონისე ონიანი, ირმა ბერიანიძე, თემურ კილაძე, ზაზა გოგუაძე, ანა გრიგოლია, თეონა ქოქრაშვილი, გიორგი კიკნაძე, ნოდარ ძოწენიძე

პრემიერა შედგა: 2017 წლის 2 აპრილს
ხანგრძლივობა: 120 წუთი, ორ მოქმედებად
ადგილი: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
საგასტროლო ჯგუფი: 38 ადამიანი

### სპექტაკლის შესახებ:

მეოცე საუკუნის ოციანი წლებია... ცოტა ხნის წინ პირველი მსოფლიო ომი დასრულდა, დაიშალა ხუთი იმპერია, პატარა საქართველო ისტორიის გასაყარზეა – არავინ იცის, მომავალში რა ელის... საით წავა... რუსეთის იმპერია წარსულია, აწმყო მყიფე დამოუკიდებლობაზე დგას, ხოლო მომავალი ბურუსითაა მოცული... საქართველო კუნძულივითაა, რომელიც დაშლილ იმპერიებს შორის მოქცეულა... დავით კლდიაშვილის შემცბარი და უხმაურო გმირები თავიანთი პატარა ეზოებისა და სახლების გადარჩენას თუ შენარჩუნებას ცდილობენ, რადგან დროდადრო მეზობლის ღორები ანადგურებენ მათ მწირ მოსავალს... ამბობენ, რომ ეს ბაკულას ღორებია... მაგრამ ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ უხილავი ბაკულას მშიერი ღორები ქმნიდნენ ამხელა ხმაურს?
ისტორიაში, თითქოს და, უმწეოდ გამოკიდებულ პატარა სივრცეს – გალაკტიონ კოხრეიძის ბევრჯერ გადაჯეგილ და ისევ აღდგენილ ეზოს ყველა მხრიდან უტევენ ახლებური შინაურ-გარეული არსებები...

### პრესა:

ორმაგი გრძნობა დამეუფლა წარმოდგენის დასრულებისას: აღფრთოვანების და საშინელი, გაუსაძლისი სევდის. აღმაფრთოვანა: გამომგონებლობით აღსავსე რეჟისურამ, მსახიობების ნამუშევარმა, მათ მიერ შექმნილმა პერსონაჟებმა და ტიპაჟებმა, დახვეწილი გემოვნებით შესრულებულმა სცენოგრაფიამ, კოსტიუმებმა, გამოყენებულმა მუსიკამ თუ პლასტიკურმა ნახაზმა. სარეჟისორო კონცეფციამ

კი უდიდესი სევდით ამავსო... ჩვენი ბედკრული ქვეყნის, უკუღმართი ცხოვრების ამბავს გვიყვება „ბაკულას ღორებით“ მარჯანიშვილის თეატრი. სათეატრო ენით ამბის თხრობისას თავიდან აგახარხარებს, ფინალში კი მწარედ გატირებს.

*მაკა ვასაძე, თეატრმცოდნე*

რეკომენდაცია:

საკმაოდ რთულად მოსანელებელი, არაერთმნიშვნელოვანი, სხარტი, პოლიფონიური და გაბედული წარმოდგენა. ჩანს, რომ რეჟისორს ბევრი უფიქრია და უწვალია კლდიაშვილის ასე ვთქვათ, „შიდა მოხმარების“ ტექსტის გაფართოებასა და უნივერსალიზაციაზე; მის ევროპულად „წაკითხვასა“ და სრულიად სხვა ესთეტიკურ ენაზე გადაწყობაზე, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა თეატრალთა ცნობიერებაში მითად დამკვიდრებული თუმანიშვილის „ბაკულას ღორების“ შემდეგ.წარმოდგენის ფორმა, კონსტრუქცია, დეკორაცია, კოსტიუმები, ჩამატებული პერსონაჟები და ზოგადად ესთეტიკა, ხან მოლიერისკენ გიბიძგებთ, ხან გოლდონისკენ; უფრო მეტად კი ჩეხოვისკენ. მთელი მეორე აქტი კი შალვა დადიანის „გუშინდელნის“ ახლებურ ვერსიას უფრო წააგავს, ვიდრე საკუთრივ კლდიაშვილს. ეს არის კლდიაშვილის ახალი, მოდერნიზებული, მაგრამ „ჭოლას“ ნაცნობი კოდებით თუ გასაგები ატმოსფეროთი სავსე ვერსია. პერსონაჟების ჩიტირეკულ-რომატიკული, მგრძნობიარე, იოლად გადამდები და გულწრფელი სენტიმენტების ერთგვარი ალქიმია, რომელსაც დიდი ხანია იცნობ. რეჟიოსრს შემოაქვს გაბედული მოქალაქეობრივი და პოლიტოკური მოტივები, რომელიც სპექტაკლს ახალ, სრულიად მოულოდნელ განზომილებას სძენს.

*დავით ბუხრიკიძე, ხელოვნებათმცოდნე*

## RECOMMENDED PROGRAM

### BAKULAS' PIGS

after David Kldiashvili story “bakula’s pigs” , with several texts from Osip Mandelshatm Notes

Director by Levan Tsuladze
Scenography By Levan Tsuladze
Costume Designer Nino Surguladze
Choreography by Gia Marjania
Musical adapted by Zura Gagloshvili
video installation By Nikoloz Gagloshvili
Assistant to director Nino Kalandadze

Characters: Nika Tavadze, Nata Murvanidze, Roland Oqropiridze, Ana Vasadze, Koko Roinishvili, Beso Baratashvili, Bachuki Dogonadze, Tamar Bukhnikashvili, Nino Gachechiladze, Mariam Sujashvili, Davit Khurtsilava, Nika Kuchava, Zurab Berikashvili, Manana Kozakova, Onise Oniani, Irma Berianidze, Temur Kiladze, Zaza Goguadze, Ana Grigolia, Teona Qoqrashvili, Giorgi Kiknadze, Nodar Dzotsenidze

Date Of Premiere : April 2, 2017
Duration: 120 minutes, with one intermission.
On tour: 38

## About Perfomance:

Story takes place in the early twenties of the twentieth century... Just not long ago the First World War concluded, five of the empires were broken-up, small and delicate Georgia is on the verge of its history- The future is unknown to all...Russian Empire is left in past, present stands on a fragile independence and time ahead is full of mystery...
Georgia is like an island, stuck between the broken empires... David Kldiashvili's flabbergasted and silent heroes are trying to save and keep their little gardens and houses. But time and pigs from neighbourhood destroy their humble crops...They say, these pigs belong to a new neighbour, someone whose name is Bakula...The pigs create enormous noise. Is it possible that pigs of the invisible Bakula are capable of making such noise?
The garden known to be so innocent and small to the time and history- the small garden of Galaktion Kokhreidze, the garden destroyed and restored many times – is again attacked by new enemies...

## Press:

I was left with two different feelings after the performance: excitement and horrible, unbearable sadness. I was excited about the innovative directory, actors and their work, characters created by them, exquisite scenography, costumes, music and plastic sketches. However, the plot itself filled me with sadness... "Bakula's Pigs" tells us about our helpless country and its backwardness. In the beginning, this theatrical storytelling will make you laugh, but by the end of it, you will be left with bitter tears.

*Maka Vasadze, Theatre Critic*

## Recommendation:

It is very hardly digested, agile, polyphonic and daring performance with a multi meaning. It is visible that the director has worked hard to turn Davit Kldiashvili's text into a wider and more universal story, making it readable for the European audience and totally transforming the language aesthetically. This is a very harsh change and provocation, after the fact that Tumanishvili's "Bakula's Pigs" has turned into a myth for theatre specialists. Construction, decoration, costumes, additional characters and aesthetics in general, will often remind you of Molière, other times- towards Goldoni, but mostly of Chekhov. The second act is more alike a newer version of Shalva Dadiani's "Those, from Yesterday" rather than that of Kldiashvili. It is a modernized work of Kldiashvili, full with "Chola's" renowned atmosphere and characteristics. Characters have a familiar alchemy created by sincere sentimentality. Director adds civil and political motives to the performance, which gives it a new, unexpected circumstance.

*Dato Bukhrikidze, Art Critic*





## პრემიერა

ლაშა ბუღაძე

# ნავიგატორი

დამდგმელი რეჟისორები – ლევან წულაძე და ანა ცუცქირიძე
სცენოგრაფები – ლევან წულაძე, შაკო ჩაგუნავა
კოსტიუმების მხატვარი – ნინო სურგულაძე
ქორეოგრაფი – თინათინ წულაძე
კომპოზიტორები – ნიკა მაჩაიძე, ნატალია ბერიძე
ვიდეო ნიკა მაჩაიძის
ვიდეოინჟინერი – ზაკო
რეჟისორის თანაშემწე – ნინო კალანდაძე

მონაწილეობენ: თემიკო ჭიჭინაძე, ანა ვასაძე, ანა გრიგოლია, ნიკა კუჭავა, ბესო ბარათაშვილი, ონისე ონიანი, გივი ჩუგუაშვილი, კესარია ჯავახიშვილი, ნოდარ ძოწენიძე, ირაკლი ჩხიკვაძე.

ხანგრძლივობა: 90 წუთი, ერთ მოქმედებად
ადგილი: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
საგასტროლო ჯგუფი: 28 ადამიანი

სპექტაკლის შესახებ:

ნავიგატორი – სინამდვილე და სიმულაცია
„ნავიგატორი" მარტოობას შეჩვეული ადამიანის ამბავია – როსტომის, რომელსაც თითქოს ძალით გამოგლეჯენ „კომფორტის ზონას", სახლს, ოთახს, ჩვევებსა და აკვიატებებს...
„ნავიგატორი" საკუთარ კომპლექსებს შეჩვეული (თუ შეყვარებული) ადამიანის ამბავია – როსტომის, რომელსაც არცთუ სიმპათიურ, მაგრამ მოწესრიგებულ და წესიერ ადამიანად მიაჩნია თავი, კაცად, რომელსაც საკუთარი მამა მუდმივად ჩასჩიჩინებს, შეელიოს თავის „სამარცხვინო მარტოობას" და სანამ გვიანი არაა, ოჯახი შექმნას; კაცად, რომელსაც სჯერა, რომ თანამშრომელ კლარას არასდროს მოეწონება, მაგრამ თავს ირწმუნებს (თუ იმხნევებს), რომ მას და თუნდაც ამ კლარას „რაღაცნაირი რომანი მაინც აქვთ" – ყოველ შემთხვევაში, კლარა უამრავ ისეთ ნიშანს აძლევს, რითიც სხვას ნამდვილად არ გააბედნიერებს...
„ნავიგატორი" კომპენსაციების ამბავია, როცა რეალობა და წარმოსახვა ერთმანეთს არ შეესაბამება და როცა „სინამდვილისგან" დათრგუნულ მსუბუქ და „ცოტა საყვარელ ფსიქოპატ" როსტომს რეალობიდან გაქცევა უნდა...
რადგან რეალობა – ახალი და პიქუში ტექნოლოგიები, უშინაარსო და უემოციო თანამშრომლები, ეგოისტი და გულგრილი დირექტორი, აგრესიული და უზრდელი მშობელი, ცივი და ქედმაღალი კლარა – მისთვის მტრული და ჩაკეტილია...
„ნავიგატორი" ნავიგატორის ხმის და როსტომის სიყვარულის ამბავია... ქალის ხმა, რომელიც საგზაო მითითებებს აძლევს როსტომს, მის ერთდადერთ და მთავარ სინამდვილედ იქცევა...
რადგან როსტომის ემპირიულ სინამდვილეში – ნავიგატორის გარდა – ყველაფერი სხვა სიმულაციური, პლასტმასის და ხელოვნურია...

2011 წლის შემოდგომაზე პიესამ BBC-ისა და ბრიტანეთის საბჭოს თაოსნობით გამართულ რადიოპიესების კონკურსში გაიმარჯვა, ამავე წლის ბოლოს დაიდგა BBC-ის რადიოში და მასში ბრიტანელმა მსახიობებმა მიიღეს მონაწილეობა. ამონარიდები BBC-ისა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ წლის საუკეთესო

რადიოპიესების კონკურსის ჟიურის შეფასებებიდან:
- „ესაა ორიგინალურად მოყოლილი, თითოეული ადამიანისთვის ახლობელი ამბავი. ჟიური მოხიბლა რეალობისა და აბსურდის ზღვარზე მყოფმა სიუჟეტმა, ადამიანის მარტოობის ტრაგიკომიკურმა აღწერამ და პერსონაჟების კარგად გამოკვეთილმა ხასიათებმა».
- „პიესა ძალიან ავთენტური, ამავე დროს, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის მკვიდრისთვის ახლობელი და გასაგებია... პერსონაჟების ხასიათი შესანიშნავად იგრძნობა, პიესა ნამდვილად რადიოსთვისაა შექმნილი.»

## PREMIERE

## THE NAVIGATOR

Lasha Bugadze

Directed by Levan Tsuladze, Ana Tsutskiridze
Stage Designers Levan Tsuladze, Sako Chagunava
Costume Designer Nino Surguladze
Composer Nika Machaidze, Natalie Beridze
Choreography By Tinatin Tsuladze
Video Nika Machaidze
Video engineer Zako
Assistant to Director - Nino Kalandadze

Cast: Temiko Chichinadze, Ana Grigolia, Nika Kuchava, Beso Baratashvili, Onise Oniani, Givi Chuguashvili, Kesaria Javaxishvili, Nodar Dzotsenidze, Irakli Chkhikvadze

Date of a Premiere: 3.10.2017
Duration: 190 Minutes, without intermission
Venue: Kote Marjanishvili State Drama Theatre
On tour: 28 persons

### About Perfomance:

NAVIGATOR- Reality and Simulation
Navigator is a story about a man well-adjusted to solitude - the story about Rostom, who is torn out of his comfort zone, out of his house, room, his habits and obsessions.
Navigator is a story about a man, who is well adapted and even in love with his inferiority complexes – Rostom, who considers himself as a dissent and fair, a man whose father constantly insists on him to get away from his solitude and create a family, until it is not too late; a man, who thinks, that his co-worker Clara will never like him, but encourages himself that he still has some kind of affair with her– in any case, Clara's signs are meant only for him.
Navigator is a story of compensations - when reality and imagination do not match each other and when dejected by reality "light" and a cute psychopath Rostom wants to escape it. Because reality is new and stern technologies, co-workers without emotions and content, egoistic and passionless director, aggressive and bad-mannered parent, cold and arrogant Clara - and it is closed and unfriendly to him.
Navigator is a story about navigator's voice and Rostom's love - woman's voice, that indicates him road signs, becomes his one only and mostly important reality. Since in Rostom's empirical world anything else except navigator is plastic, artificial and simulate.

NESCAFÉ



## ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
## TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE

### თეატრის შესახებ:

თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრი 1926 წელს დაარსდა. თეატრის რეპერტუარი შედგებოდა მხოლოდ მუსიკალური კომედიებისაგან. წლების განმავლობაში ამ თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი რეჟისორები და მსახიობები, კომპოზიტორები და დრამატურგები, მხატვრები და ქორეოგრაფები... თეატრის პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა და ის ქართული თეატრალური და მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა....

მას შემდეგ, რაც 2004 წელს თეატრს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა რეჟისორი დავით დოიაშვილი ჩატარდა ფუნდამენტური რეფორმები და შეიქმნა სინთეზური ხასიათის თეატრი, რომელმაც თავის რეპერტუარში ჩართო სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებული, ჟანრის სპექტაკლები: დრამა, ოპერა, კომედია, მიუზიკლი, მუსიკალური დრამა, ქორეოგრაფიული და ლიტერატურული წარმოდგენები.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი თეატრის მშენებლობის საქმე ჯერ კვლავაც პროცესშია, რის გამოც სპექტაკლების დადგმა და შესრულება გვიწევს ექპერიმენტულ სცენაზე, თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრი ერთ-ერთი ინოვატორული და წარმატებული თეატრია ჩვენს ქვეყანაში. მუდმივად იზრდება თეატრის მნიშვნელოვანი ჯილდოებისა და პრიზების რაოდენობა, და ასევე მისი საერთაშორისო აღიარება და სახელი.

2015 წელს თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრი გახდა „NETA NETWORK"-ის (ახალი ევროპული თეატრების ასოციაცია) წევრი და შეუერთდა ცნობილი ევროპული თეატრალური კომპანიების ოჯახს.

დღესდღეობით, ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ იმაზე, რომ განვაახლოთ და გავამდიდროთ თეატრის რეპერტუარი და ასევე შევქმნათ ჯანსაღი და პროდუქტიული გარემო ერთობლივი თანამშრომლობისათვის ცნობილ და ახალგაზრდა ქართველ თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არტისტებთან.

**საკონტაქტო ინფორმაცია**
სამხატვრო ხელმძღვანელი: დავით დოიაშვილი
თეატრის მმართველი: დავით დოიაშვილი
საკონტაქტო პირი: პროდიუსერი მურმან-დავით კარტოზია
ტელ: +995 579444139
E-mail: musicandrama@gmail.com
bukajazz@gmail.com
www.musictheatre.ge

## About Theater

Tbilisi Music and Drama Theatre also known as Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama Professional State Theatre was founded in 1926. The repertoire of the only "Muscomedia" (as people usually called our theatre) consisted of only Musical comedies...... Popularity of the theatre was growing....

In 2004 young theatre director David Doiashvili - one of the best directors of New Generation- becomes the head of the company. All fundamental reforms throughout the theatre are connected with his name. Experimental fusion of genres including drama, opera, musical, comedy, musical drama, choreography, literary performance appear in the repertoire of the theatre. One of our main goals is to support and help young gifted directors and artists to find claim and establish their place in modern theatrical life of Georgia and beyond its borders.

Although the construction works of the new venue are still inactive and we have to stage and perform on our experimental stage, which in reality is a theatre foyer transformed into the stage, Tbilisi Music and Drama State Theatre is considered to be one of the most innovative and successful theatres in the country. The number of significant awards and prizes of the theatre as well as international recognition and fame is constantly growing.

In 2015 Tbilisi Musical and Drama State Theatre became a member of NETA Network (New European Theatre Action) and was integrated into the family of famous European theatre companies.

Nowadays we continuously work to update and enrich our repertoire and to create healthy and productive environment for collaborative works with famous and young artists from Georgia and from all over the world.

**Contact Information:**
Artistic Director of Theatre:
David Doiashvili
General Manager: David Doiashvili
Contact Person:
Producer Murman David Kartozia
Tel: +995 579444139
E-mail: musicandrama@gmail.com
bukajazz@gmail.com
www.musictheatre.ge



## რეკომენდირებული პროგრამა

მარტინ მაკდონა
### ბალიშის კაცუნა

თარგმნა მანანა ანთაძემ
დამდგმელი რეჟისორი – დავით დოიაშვილი
სცენოგრაფია  დავით დოიაშვილის
კოსტიუმების მხატვარი  –  ანანო მოსიძე
ქორეოგრაფი  –  კონსტანტინე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე  –  ნინო ჭავჭავაძე
სპექტაკლში გამოყენებულია ფრიდერიკ  შოპენის მუსიკა

მონაწილეობენ: კახა კინწურაშვილი, დავით ბეშიტაიშვილი, დევი ბიბილე-იშვილი, ნანა ბუთხუზი, ბუბა გოგორიშვილი, ალეკო ბეგალიშვილი, გიგი ქარსელაძე

პრემიერა შედგა: 2016 წლის 6 ოქტომბერს
ხანგრძლივობა: 190 წუთი, ორ მოქმედებად
ადგილი: ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
საგასტროლო ჯგუფი:  15 ადამიანი

სპექტაკლის შესახებ:

,,ბალიშის კაცუნა“ –  ორი „ტონის“, „ოლივიეს“ და „ოსკარის“ მფლობელი თანამედროვე  ირლანდიელი დრამატურგის,  მარტინ მაკდონას ამავე სახელწოდების  პიესის მიხედვით დაიდგა.
სპექტაკლი  „ბალიშის კაცუნა“  დაკითხვის სცენით იწყება. მთავარი გმირი –  ნიჭიერი მწერალი კატურიენი, დეტექტივებმა ტუპოლსკიმ და არიელმა დააპატიმრეს, რადგან  მის მოთხრობებში აღწერილი სასტიკი ძალადობა ბავშვების მიმართ, ძალიან გავს ბოლოდროინდელ რეალურად ჩადენილ ბავშთა მკვლელობებს. სიმართლის  გარკევასთან ერთად უფრო და უფრო ძლიერდება ბლანტ კოშმარში ჩაძირვის შეგრძნება... აღმოჩნდება, რომ მწერლის ძმა – მიშელი – უნარშეზღუდულია, მისი მშობლები – ფანატიკოსები, მანიაკები და სადისტები იყვნენ, დეტექტივები – საკუთარი წარსულის მძევლები არიან....
შეიძლება ბევრს მოეჩვენოს, რომ მაკდონას ეს პიესა ძალიან შორსაა ჩვენი რეალობისგან, მაგრამ ეს არის სპექტაკლი, რომელიც აუცილებლად დაგაფიქრებთ, თუ საიდან მოდის  თქვენი ბავშვობის ამდენი ტრავმა?! აღმოაჩენთ, რომ საყვარელმა მშობლებმა მხოლოდ მსხვერპლად გაგზარდეს, ან უარესი, ზოგი თქვენგანი, მოძალადედაც?! დაფიქრდებით, რომ ექვსი ადამიანის მკვლელი  შეიძლება  იყოს უდანაშაულოც?!
შეამჩნევთ, როგორ გიჭირთ სიახლეებთან შეგუება და როგორ გაღიზიანებენ ადამიანები –  სხვისგან გამორჩეული და განსხვავებული ადამიანები?!
მიხვდებით, რომ ღმერთი მხოლოდ  იმიტომ უნდა გიყვარდეთ,  რომ მას  ჰყავს რჩეული და ერთ მშვენიერ დღეს  ეს რჩეული შეიძლება თქვენ აღმოჩნდეთ?!
და საერთოდ,  გაიგებთ,  რომ  „ჰეფი ენდი“ – დიდი ტყუილია! ბედნიერი დასასრული ცხოვრებაში არ არსებობს!

პრესა:

„ბალიშის კაცუნა“ საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლია!

დიდხანს ველოდი იმ რეჟისორს, ვინც ქართულ თეატრში ახალ სიტყვას პირველი იტყოდა. ეს დავით დოიაშვილია! მან მუსიკისა და დრამის თეატრში თანამედროვე ავტორის მარტინ მაკდონას პიესა „ბალიშის კაცუნა“ ბრწყინვალედ დადგა. დავით დოიაშვილი და მისი დასი დიდი ტკივილით აშიშვლებს დღევანდელ საზოგადოებას, თვით მსახიობებიც მაყურებლის თვალწინ სულიერად შიშვლდებიან და როცა სცენაზე დამონტაჟებულ აუზებში ჩასხმულ წყალში, ალბათ, ცრემლების მორევში მოძრაობენ, შენც ამ მორევში ჩათრევას გაიძულებენ. რეჟისორი და მსახიობები თითქოს შერლოკ ჰოლმსის გამადიდებელი შუშით იკვლევენ დღევანდელ დღეს გამეფებულ ადამიანთა სისასტიკეს, რომლის მიზეზს წარსულში, ოჯახში ეძებენ, თუმც სპექტაკლის ყველა ეპიზოდი, რომელიც ხან რეალურია და ხან ფანტასმაგორიული ზმანება, მაყურებელში მშვენიერების განცდას იწვევს. წარმოდგენა ფრთებს გიშლით და, შეიძლება ითქვას, ფრენას გასწავლით.

*მანანა ტურიაშვილი, თეატრმცოდნე*

რეკომენდაცია:

რა არის პირველადი – შემოქმედება თუ რეალობა? ვინ არის პასუხისმგებელი სამყაროში გამეფებულ ძალადობაზე და სადაა მისი სათავე? ვინ ვართ ჩვენ და ვაგებთ თუ არა პასუხს იმ ტანჯვასა და ტკივილზე ქვეყნად რომ სუფევს? მუსიკისა და დრამის თეატრის სპეტქაკლი „ბალიშის კაცუნა“ ადამიანისა და საზოგადოების წინაშე მდგარ უმწვავეს კითხვებზე პასუხების ძიებაშია. დავით დოიაშვილის სპექტაკლის პირქუში ლირიზმი და გულახდილობა, სიყვარულისა და სისასტიკის სიმბიოზი მომნუსხველ ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე, რომელიც განიარაღებული ერთვება ამ ერთობლივი  რეფლექსიისა თუ თერაპიის „სეანსში“, რომელიც მარტინ მაკდონას „დეტექტიური თრილერისა“ და „ფსიქოლოგიური ზღაპრის“ საფუძველზე შეიქმნა. რეჟისორისა და მსახიობთა მოგზაურობა ფსიქიკის სიღრმეებში უძველეს კოლექტიურ შრეებს წვდება, არაცნობიერის ყველაზე ბნელი „წყალსატევების“ სარქველებს ახდის და საკუთარ ჩრდილებს შეგვახვედრებს. წყალი წარმოდგენის დომინანტური სიმბოლოა, რომელიც ერთსა და იმავე დროს არაცნობიერ ფსიქიკასა და აფექტთაგან განწმენდას აღნიშნავს. სპექტაკლი სცდება ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხელოვანის თავისუფალი თვითგამოხატვის პრობლემის ფარგლებს და კულტურისა და ყოფიერების ფუძისეული წინააღმდეგობების წინაშე გვაყენებს. ის ერთსა და იმავე დროს მძაფრად ემოციურია, ინტელექტუალური და ტარგიკული გროტესკითა და შავი იუმორით აღსავსე. ჩვენ ყველანი წარმოშობით ბავშვობიდან ვართ, ამბობდა ეგზიუპერი, თუმცა ბავშვობის ზღაპარი  ურჩხულებით შეიძლება იყოს აღსასავსე. რეჟისორ დოიაშვილის თქმით, თუ ჩვენი წარსულის ტრამვებს გავაანალიზებთ, უკეთესი მომავალი გვექნება, რადგან „თანამედროვე ადამიანი მხოლოდ ის არის, ვინც რეალობას სრულად აცნობიერებს“ (კარლ გუსტავ იუნგი, „თანამედროვე ადამიანის სულის პრობლემები“) და მის წინაშე პირისპირ დარჩენის გაბედულება ჰყოფნის.

*თამარ ბოკუჩავა, თეატრმცოდნე*



## RECOMMENDED PROGRAM

### THE PILLOWMAN

Martin McDonough

Translated by  Manana Antadze
Directed by David Doiashvili
Stage Designer – David Doiashvili
Costume Designer – Anano Mosize
Choreographer - Konstantin Purtseladze
Composer  Frederic Chopin
Assistant to Director - Nino Chavchavadze

Cast: Kakha Kintsurashvili, David Beshitaishvili, Devi Bibileishvili, Nana Butkhuzi, Buba Gogorishvili, Aleksandre Begalishvili, Gigi Karseladze

Date of a Premiere:  6.10.2016
Duration:  190 Minutes, with one intermission
Venue: Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama Professional State Theatre
On tour:  15 persons

About Perfomance:

"The Pillowman" -was staged after Martin McDonagh play with the same title
His dramaturgy is very similar to the cinema narrative and  offers a rapid change of situation, detective development and tangled intrigue.
The play "The Pillowman" starts with the scene of the interrogation. The main character - talented writer Katurien, was arrested by detectives Tupolsky and Ariel because the brutal violence described in his stories were very similar to the realistically committed murders of children that had recently taken place. With the establishment of the truth, the feeling of sinking in the viscous nightmare is getting stronger ... it turns out that the writer›s brother - Michelle - is disabled, their late parents - fanatics, maniacs and sadists, detectives - are the hostages of their past… It may seem to many that McDonagh ‹s play is far from reality, but the play will definitely make you think about the childhood memories and traumas.
You will find out that the beloved parents raised you as a victim, or worse - some of you - even as oppressors?!
Would you think that a murderer of six people could be innocent?! Do you notice how difficult it is for you to accept innovations and how people different from others are irritating to you?! You will realize that you love God only because he has a favourite and one day you can be that favourite?! And generally, you will find that "Happy End" is a big lie! There is no happy ending in life!

Press

„Pillowman" is a significant step in the developmental staircase of Georgian Theater!
My expectations for a director who will say a new word in Georgian theater took a long while. Now I know that this director is David Doiashvili!"David Doiashvili and his crew show naked Georgian society and the actors drop their clothes completely off as they move through huge water basins – whirlpools of tears on the stage and force the audience into this whirlpools. The Director and artists use the magnifying glass of Sherlock Holmes to investigate cruelty governing today's society and they find the reasons deep in the past, in family traditions. Realistic and phantasmagorical scenes change each other - feeding the audience with excellence of perfection. The performance gives you a pair of wings and teaches you how to fly.

*Manana Turiashvili, Theatre Critic*



## Recommendation

Which one comes first- creativity or reality? Who is responsible for the evil that dominates the world, and where do we find its source? Who are we and are we responsible for all the suffering and pain present in the world? Music and Drama Theatre presents a performance “The Pillowman”, which is looking for the questions regarding the mankind. Davit Doiashvili’s performance manages to drastically affect the audience by its lyricism and sincerity for love and cruelty.  Audience is engaged into this “session” that was based upon Martin McDonagh’s ‘detective thriller’ and ‘psychological narrative’. The work that was done by the director and actors touch the deepest layers of our mentality. Water is the main symbol of performance, which at the same time marks the unknown psyche and its cleansing. Performance goes beyond the problems of an independent artist during a totalitarian regime and puts us against culture and being. It is full with emotionality, intellectual, tragic grotesque and dark humor. Exupéry used to say that we all come from childhood, but childhood story can be full with monsters. Doiashvili says that if we manage to analyze our past traumas, we can have a better future, as ‘a modern man is one who manages to completely understand reality’ (Carl Gustav Jung, “Modern Man in Search of a Soul”) and be able to face it.

*Tamar Bokuchava, Theatre critic*

# SARAH KANE

# CRAVE



## პრემიერა

სარა კეინი

# წყურვილი

დავით გაბუნიასა და დავით ხორბალაძის თარგმანი
რეჟისორი – დავით ხორბალაძე
სცენოგრაფია ანა გურგენიძის
კომპოზიტორი – დავით ხორბალაძე
რეჟისორის თანაშემწე – ნინო ჭავჭავაძე
მონაწილეობენ: ალექსანდრე ბეგალიშვილი, გვანცა ენუქიძე, კახა კინწურაშვილი, მარინე ჯოხაძე.

ხანგრძლივობა: 70 წუთი, ერთ მოქმედებად
ადგილი: ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
საგასტროლო ჯგუფი: 7 ადამიანი

სპექტაკლის შესახებ:

„წყურვილი“ საქართველოში პირველად იდგმება და ეს იქნება მცდელობა, შექმნას სიტყვებისა და ხმების ახალი განზომილება, რომელიც მაყურებელს განუსაზღვრელი ასოციაციების გარემოში ამყოფებს და მას ერთიანი პროცესის თანამონაწილედ აქცევს.

რეჟისორი მსახიობებთან და მხატვართან ერთად ქმნის ყოფით, ნატურალისტურ გარემოს, რომელშიც ნამდვილ ფიზიკურ ტკივილებსა და, ამავე დროს, უკიდურესად აბსტრაქტულ შეგრძნებებს ერთმანეთს უპირისპირებს. სწორედ ამ გადაკვეთაზე იქმნება ის უძრავი წერტილი, სადაც სიცოცხლე დახუთული და გაშეშებულია, სადაც სიყვარული, როგორც წყევლა ყველაფერს თან სდევს და შლის, ანაწევრებს, იმ უსასრულო ჯოჯოხეთად აქცევს, რომელშიც არსებობა მხოლოდ ტკივილის შეგრძნებით დასტურდება.



## PREMIERE

# CRAVE

Sarah Kane

Translated by David Gabunia and David Khorbaladze
Directed by David Khorbaladze
Stage Designer – Ana Gurgenidze
Composer David Khorbaladze
Assistant to Director - Nino Chavchavadze

Cast: Aleksandre Begalishvili, Gvantsa Enukidze, Kakha Kintsurashvili, Marine Jokhadze.

Duration: 70 Minutes, without intermission
Venue: Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy and Drama Professional State Theatre
On tour: 7 persons

About Perfomance:

«Crave» is being staged in Georgia for the first time. It›s an attempt to create a new dimension of words and sounds, which will put the viewers into a state of unlimited associations and make them a part of whole process.
Together with actors and designer, director is creating an everyday, natural environment, in which a real, physical pain opposes abstract feelings. At this crossing an immovable point is being created, a point, where life is stopped and airless, where love, like a curse, follows everything, destructs, tears it apart, turns it into endless hell in which existing is only confirmed by the feeling of pain.




ROOMS HOTELS
— TBILISI —
14 M. Kostava St. 0108 Tbilisi, Georgia • Phone: + 995 32 2020099
tbilisi@roomshotels.com • www.roomshotels.com
A MEMBER OF DESIGN HOTELS™

## სამეფო უბნის თეატრი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით
## ROYAL DISTRICT THEATRE IN COLLABORATION WITH SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM STATE UNIVERSITY OF GEORGIA

### თეატრის შესახებ:

სამეფო უბნის თეატრი დაარსდა 1997 წელს გამოჩენილი ქართველი მსახიობის იზა გიგოშვილის ინიციატივით. დღიდან დაარსებისა თეატრი ხელს უწყობს ინოვაციურ და თავისუფალ თეატრალურ ექსპერიმენტებს, თანამედროვე, ან საქართველოში ჯერ არ განხორციელებული დრამის პოპულარიზაციას, რითიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული თეატრის საზღვრების გაფართოებაში. 2008 წლიდან აქ აქტიურად მუშაობს ახალგაზრდული ჯგუფი, რომელმაც სამეფო უბნის თეატრს საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოუტანა პოპულარობა ფორმით ინოვაციური და თემატურად აქტუალური სპექტაკლებით. 2013 წელს სპექტაკლის „ტროელი ქალების“ პრემიერა გაიმართა ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეატრალური ღონისძიების ფარგლებში „სასცენო ხელოვნების ბიენალეზე“ (შვედეთი), სადაც მაყურებლის ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ დასს ორი დამატებითი სპექტაკლის თამაში მოუწია, ასევე „ტროელი ქალები“ ნახეს ბრიუსელის სახელოვნებო ცენტრ BOZAR-ში, სადაც ქართული დასი პირველად წარსდგა, წლის ბოლოს კი სპექტაკლი თეატრალური პრემია „დურუჯით“ აღინიშნა.

2008-2011 წლებში სამეფო უბნის თეატრმა დააფუძნა 25-წუთიანი სპექტაკლების ფესტივალი „არდიფესტი,“ რომლის მიზანი ახალი სახელების აღმოჩენა და მათი წახალისება იყო. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სწორედ „არდიფესტის“ ფარგლებში აღმოჩენილი რეჟისორები, დრამატურგები, მსახიობები, კომპოზიტორები და სცენოგრაფები წარმოადგენენ დღეს ქართული თეატრის ახალგაზრდულ სახეს.

სამეფო უბნის თეატრი ასევე აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო საქმიანობაში, მის ბაზაზე არსებობს „თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი – „თემურ ჩხეიძის სახელოსნო”, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა. თეატრი აქტიურად თანამშრომლობს გეტებორგის მუსიკისა და დრამის აკადემიასთან (შვედეთი) და თვეში ერთხელ მართავს პროფესიულ ღია ლექციებსა და სემინარებს, უორქშოფებსა და მასტერ-კლასებს ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის, რომლებსაც ქართველი და უცხოელი პროფესიონალები უძღვებიან.

სამეფო უბნის თეატრი რეპერტუარისთვის მასალის შერჩევისას ყოველთვის ითვალისწინებს სოციალურ ღირებულებებს, თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რადგან გვჯერა, რომ თეატრი არის რეფლექსიისა და რეაგირების, დიალოგისა და ანალიზის სივრცე.

**საკონტაქტო ინფორმაცია**
სამხატვრო ხელმძღვანელი:
მერაბ თავაძე
თეატრის მმართველი: ნიკა თავაძე
საკონტაქტო პირი:
დრამატურგი დავით გაბუნია
ტელ: +995 322996171
E-mail: dgabunia@yahoo.com
www.rdt.ge

## About Theater

Royal District Theatre was founded in 1997 by a prominent Georgian actress Iza Gigoshvili. Since its establishment RDT has been supporting innovative and free theatrical experiments, popularization of new plays, thus contributing to widening the perspective of Georgian theatre. Since 2008 a young group has been active at RDT that made the theatre popular abroad with its innovative forms and acutely up-to-date performances. In 2013 the performance of Women of Troy premiered at The Biennial of Performing Arts (Sweden) where RDT was requested to perform extra performances due to high interest of the audience. Women of Troy was also guest-performed at the Brussels Centre of Fine Arts BOZAR, the first ever Georgian presence on the platform. The performance was awarded with Duruji theatre prize at the end of the year.

In 2008-2011 RDT founded the festival of 25-minute play ARDIfest that aimed at discovering new faces and encouraging their work. The directors, playwright, actors, composers and designers discovered at ARDIfest are ultimately defining the face of young Georgian theatre nowadays.

RDT is also active in the educational field, it hosts the Center for Development of Contemporary Thatre – Temur Chkheidze Studio, supported by the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia. RDT actively collaborates with Gothenburg Academy for Music and Drama (Sweden); arranges public lectures, professional seminars, workshops for Georgian and foreign students.

Repertoire choices at RDT are always taking into consideration social values, political event in Georgia, as we do believe that theatre is a space for reflection and reaction, dialogue and analysis.

**Contact Information:**
Artistic Director of Theatre:
Merab Tavadze
General Manager: Nika Tavadze
Contact Person:
Dramatourg Davit Gabunia
Tel: +995 322996171
E-mail: dgabunia@yahoo.com
www.rdt.ge



# რეკომენდირებული პროგრამა

იასუნარი კავაბატა
## სახეები

დამდგმელი რეჟისორი – დათა თავაძე
სცენოგრაფია  ქეთი ნადიბაიძის
კოსტიუმების მხატვარი – ქეთი ნადიბაიძე
რეჟისორის თანაშემწე – ნათია შალიკაშვილი

მონაწილეობენ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები:

ნატალია გაბისონია, ანა-მარია გურგენიშვილი, ნიკოლოზ გოგიძე, სოფიო ზერაგია, ლიკა მაისურაძე, ივა ქიმერიძე, ლევან სარალიძე, გიორგი რაზმაძე, ანასტასია ჭანტურაია, ბექა ხაჩიძე

პრემიერა შედგა: 2017 წლის 16 მარტს
ხანგრძლივობა: 90 წუთი,  ერთ მოქმედებად
ადგილი: სამეფო უბნის თეატრი
საგასტროლო ჯგუფი:  15 ადამიანი

### სპექტაკლის შესახებ:

სპექტაკლს საფუძვლად დაედო დიდი იაპონელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, იასუნარი კავაბატას რამდენიმე მოთხრობა ციკლიდან „ხელისგულისოდენა მოთხრობები“. უჩვეულო სიღრმით, მომნუსხავი ლიტერატურული ჟღერადობით სავსე ნოველები რეჟისორ დათა თავაძის სპექტაკლში ერთ უწყვეტ ნაკადად გადაიქცევა; ახალგაზრდა მსახიობთა ანსამბლი ცდილობს ჩაუღრმავდეს კავაბატას სიყვარულით, ტრაგიზმით, ფილოსოფიური წიაღსვლებით სავსე სამყაროს.

### რეკომენდაცია:

„სახეები“ სამეფო უბნის თეატრისა და საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტ-მსახიობების გაბედული ერთობლივი ნამუშევარია, სადაც ახალგაზრდა მსახიობები თითქოს ახალგაზრდა პედაგოგის - დათა თავაძის „რეჟისორულ ანბანს“ საკუთარი ნიჭიერებისა და შესაძლებლობლობის ფარგლებში სწავლობენ. კავაბატას პროზაული ნაწარმოებები ნორჩი მსახიობების მიერ ერთგვარ მთლიანობად, „გეშტალტად“  აღიქმება, რომელშიც ნაწილი და მთელი  ქორეოგრაფიულ-დრამატული ბალანსით ერთიანდება.

სპექტაკლში ბევრია ორიგინალური და ზოგჯერ თვითმიზნური სავარჯიშები და ეტიუდები, მაგრამ ამავე დროს, მასში მკაფიოდ იკითხება სიახლის და ფორმის ძიების სურვილი... გარდა ამისა, ეს ერთვარი ტესტია ახლგაზრდა მსახიობების ნიჭის, ენერგიისა და შესაძლებლობების წარმოსაჩენად.

*დავით ბუხრიკიძე, ხელოვნებათმცოდნე*

## RECOMMENDED PROGRAM

# FACES

Yasunari Kawabata

Translated by David Gabunia and David Khorbaladze
Directed by Data Tavadze
Stage Designer – Keti Nadibaidze
Costume Designer – Keti Nadibaidze
Assistant to Director – Natia Shalikashvili

Cast: STUDENTS OF SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM STATE UNIVERSITY OF GEORGIA: Natalia Gabisonia, Anna-Maria Gurgenishvili, Nikoloz Gogidze, Sophio Zeragia, Lika Maisuradze, Iva Kimeridze, Levan Saralidze, Giorgi Razmadze, Anastasia Chanturaia, Beka Khachidze

Date of a premiere: March 16, 2017
Duration: 90 Minutes, without intermission
Venue : Royal District Theatre
On tour: 15 persons

### About Perfomance:

Recipient of the Nobel Prize in Literature in 1968, the Japanese novelist Yasunari Kawabata felt the essence of his art was to be found not in his longer works but in a series of short stories which he called «Palm-of-the-Hand Stories» written over the span of his career. The stories on love, death, faith and the passage of time, demonstrate the range and complexity of a true master of short fiction.

The young actors from Shota Rustaveli Theatre and Film University of Georgia under the direction of Georgia's one of the most interesting young directors Data Tavadze (Royal District Theatre, Tbilisi) present philosophical meditation, insightful, delicate, performance with full sense of tragedy.

One act performance creates an uninterrupted, minimalistic flow of narration on love, death and hope, where voice, movement and feelings are entangled.

### Press

"Faces" is a brave work done by Royal District Theatre and student actors of Film State University, where young actors learn Data Tavadze's "Directorial Alphabet" by their own talent and abilities. Kawabata's prosaic work is turned into a "gestalt" created by young actors; the pieces are put together with a choreographic and dramatic balance.

Performance is full with original exercises and etudes, but at the same time, it has a clear desire to search for news and forms... Other than that, this is a way to test actors' talent, energy and possibilities.

*Davit Bukhrikidze, Art critic*



## დამოუკიდებელი პროექტი „MONO ტრილოგია“
## INDEPENDENT PROJECT “MONO TRILOGY”

### თეატრის შესახებ:

დამოუკიდებელი პროექტი „MONO ტრილოგია“ ექსპერიმენტული ძალისხმევაა რამდენიმე ამოცანის გათვალისწინებით: 1. ალტერნატიული სივრცე; 2. რესურსების მინიმალური დანახარჯი (დრო, მატერიალური, ფინანსრული); 3. ახალი მაყურებლის, აუდიტორიის ძიება ახალი თემების, ფორმებისა და მიდგომის გზით.

### About Theater

Independent Project “MONO Trilogy” is an experimental effort with consideration of several objectives: 1. Alternative space; 2. Minimal resource (time, material and financial); 3. Search of new audience through search in new themes, forms and approaches to making theatre.


**საკონტაქტო ინფორმაცია**
სამხატვრო ხელმძღვანელი:
პაატა ციკოლია
თეატრის მმართველი: პაატა ციკოლია
საკონტაქტო პირი: პაატა ციკოლია
ტელ: +995 579014215
E-mail: paatatsikolia@gmail.com

**Contact Information:**
Artistic Director of Theatre:
Paata Tsikolia
General Manager: Paata Tsikolia
Contact Person: Paata Tsikolia
Tel: +995 579014215
E-mail: paatatsikolia@gmail.com




## რეკომენდირებული პროგრამა

პაატა ციკოლია

**მე მქვია ლალი**

დამდგმელი რეჟისორი – პაატა ციკოლია
სცენოგრაფია ქეთი ნადიბაიძის

მონაწილეობს: მეგი კობალაძე

პრემიერა შედგა: 2016 წლის 6 სექტემბერს (ბათუმის მონოპიესების ფესტივალი 2016-ის ფარგლებში)
ხანგრძლივობა: 60 წუთი, ერთ მოქმედებად
საგასტროლო ჯგუფი: 4 ადამიანი

### სპექტაკლის შესახებ:

კიბერპანკი ერთ მოქმედებად
ახლო თუ შორეულ მომავალში „უფლებები მარტოობაზე კანონითაა განსაზღვრული, მეგობრობა დაცული და გარანტირებულია“.
ლალი არის „სინთეტიკა“, რომელიც „ქალაქმა“ „მომხმარებელს“ დაბადების დღის აღსანიშნავად საჩუქრად გაუგზავნა.
მომავლის ყოველმხრივ „მოწესრიგებულ“, „ოპტიმალურ“ ყოფაში ტანჯვისა და განსაცდელის „ალბათობა ნულს უტოლდება“.

### რეკომენდაცია:

თანამედროვე და უფრო მეტად - მომავლის სამყარო. ვირტუალური სივრცე, რომელიც რეალობას თანდათან ანაცვლებს. თანამედროვე/მომავლის ფრანკენშტაინი. ადამიანის ხელით შექმნილი და მისივე განადგურებული ვირტუალური ადამიანი.

ლალი - რომელიც ამ შემთხვევაში მატერიალიზებულია და კომპიუტერის ჩარჩოდან გადმოდის, ერთი მსახიობის მიერაა განსახიერებული და რამდენიმე განზომილებაში უწევს არსებობა. ერთი სივრცე მეორითაა ჩანაცვლებული და მაყურებელიც რეალობას მიღმა აღმოჩნდება.

პაატა ციკოლია - ახალი თაობის ქართველი რეჟისორებში ერთ-ერთი გამორჩეული და თავისთავადი ავტორია, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო, მიიღო ან არ მიიღო სამყაროს მისეული აღქმა და მაგრამ არ აღიარო, რომ აქვს ინდივიდუალური ხედვა, მძაფრი, სპეციფიკური ხელწერა და სათქმელი, რომლის მხატვრული ენით გამოთქმის ძლიერი უნარი გააჩნია, შეუძლებელია.

*ლელა ოჩიაური, ხელოვნებათმცოდნე*

RECOMMENDED PROGRAM

## MY NAME IS LALI

Paata Tsikolia

Directed by Paata Tsikolia
Stage Designer – Keti Nadibaidze
Cast: Megi Kobaladze

Date of a Premiere: 6th September 2016 (Batumi Festival of Mono plays 2016)
Duration: 60 minutes, without intermission
on tour: 4 persons

About Perfomance:

Cyberpunk in one act
In far or near future the «rights on loneliness are regulated by law, friendship is guaranteed and protected».
Lali is a «Synthetic», which has been presented by the «City» to the «Consumer» in celebration of his birthday.
Marginal value of probability for suffering and misery in «all-optimal» and «all-managed» existence of the future is approaching zero.

Recommendation:

A modern, more like a world of the future. A virtual space, which slowly takes place of reality. Modern/futuristic Frankenstein. A virtual man created and at the same time destroyed by the man himself.

Lali- in this case a materialized being who steps out of the frame, is played by one actress who gets to play her character in several dimensions. One space is taken by the other, and this way audience appears to be beyond the reality.

Paata Tsikolia- is one of the most distinguished Georgian director and author among the new generation. You might agree or disagree with him, accept or not accept his perception of the world, but you cannot deny his talent, individualistic vision, fierce, specific way of telling the story.

*Lela Ochiauri, Theatre Critic*





## ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
## KUTAISI LADO MESKHISHVILI STATE PROFESSIONAL DRAMA THEATRE

### თეატრის შესახებ:

2011 წელს ქუთაისის ლადო მესახიშვილის სახელობის პროფესიულ თეატრს დაარსებიდან 150 წელი შეუსრულდა. 1861 წლის 3 მარტს ქუთაისში სცენისმოყვარეების მონაწილეობით გაიმართა პირველი, ისტორიული წარმოდგენა, გ.ერისთავის კომედია ,,გაყრა", რომლითაც აღინიშნა ახალი მოძრაობის დასაწყისი ქართული თეატრის ისტორიაში.

1894-1905 წლებში ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე ლადო ალექსი-მესხიშვილი.

1928 წელს კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისში დააარსა მეორე სახელმწიფო თეატრი, ქუთაის-ბათუმის თეატრის სახელწოდებით, 1928-1930 წლებში, ორი სათეატრო სეზონის განმავლობაში, ქართული თეატრის რეფორმატორმა, დიდმა რეჟისორმა ქართული სცენის მსახიობთა ჭეშმარიტ თანავარსკვლავედთან ერთად აქ თავისი საუკეთესო სპექტაკლები დადგა.

1941 წელს ქუთაისის დრამატულ თეატრს ლადო მესხიშვილის სახელი მიენიჭა.

1955 წელს ოფიციალურად გაიხსნა ქუთაისის დრამატული თეატრის ახალი შენობა, უნიკალური არქიტექტურული ნაგებობა, რომელსაც 2009 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

2007 წლიდან დღემდე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ასოცირებული პროფესორი, სანდრო ახმეტელისა და ლადო მესხიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი გიორგი სიხარულიძე.

2008 წელს მესხიშვილის თეატრში გაიხსნა მცირე სცენა და ქუთაისის თეატრის ისტორიის ამსახველი მუზეუმი.

2009-2012 წლებში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თეატრის შენობის წინ საზეიმოდ გაიხსნა მესხიშვილის თეატრის ხუთი მსახიობის: ევა ხუტუნაშვილის, ანზორ ხერხაძის, ერემო სვანაძის, ნათელა საღარაძის და ლამარა ვაშაკიძის სახელობითი ვარსკვლავები.

ქუთაისის თეატრის ისტორია მდიდარია ქართული თეატრისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეების სახელებით, მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენებით და ფაქტებით. მის ტრადიციებს დღეს ღირსეულად აგრძელებს მესხიშვილელთა ახალი თაობა.

**საკონტაქტო ინფორმაცია**
სამხატვრო ხელმძღვანელი:
გიორგი სიხარულიძე
თეატრის მმართველი:
სულხან გოგოლაშვილი
საკონტაქტო პირი:
პიარმენეჯერი ნანა ქაჯაია
ტელ: +995595659488;
+995595900 511
E-mail: nanakajaia@gmail.com
Imereti2010@gmail.com
www.meskhishvilitheatre.ge

## About Theater

In 2015 Kutaisi Lado Meskhishvili Professional State Drama Theatre celebrated its 130th anniversary. The history of the theatre is rich by the names of the prominent Georgian cultural and art workers, significant facts and events. Traditions of the theatre are honourably carried on by the Meskhishvlians' new generation.

The history of Theatre started back in 19th century, when On March 3, 1861 the group of amateurs first held the historic performance Giorgi Eristavi's comedy "Divorce". This was the start of a new movement of the theatre history in Kutaisi and in Georgia.

The first professional company was founded later and by the end of 19th century and beginning of 20th Kutaisi Theatre was managed by the great Georgian actor, director and public figure Lado Aleksi Meskhishvili. The theatre bares his name. Kutaisi was a cradle of one more great movement - In 1928 Kote Marjanishvili has established another state theatre there and worked in Kutaisi for two season, until the theatre moved to Tbilisi.

The new building of Kutaisi Drama Theatre was officially opened in 1955 - a unique architectural construction, which in 2009 was awarded the status of the cultural heritage.

Since 2007 up to present, Giorgi Sikharulidze is an artistic director of the theatre: an Associate Professor and the laureate of Sandro Akhmeteli and Lado Meskhishvili Prizes.

The new small stage, with the seats for 96 spectators and the Kutaisi Theatre History Museum was opened in 2008.

**Contact Information:**
Artistic Director of Theatre:
Giorgi Sikharulidze
General Manager: Sulkhan Gogolashvili
Contact Person:
Nana Kajaia, PR manager of the theatre
Tel: +995595659488; +995595900 511
E-mail: nanakajaia@gmail.com
Imereti2010@gmail.com
www.meskhishvilitheatre.ge



# რეკომენდირებული პროგრამა

ნიკოლოზ გოგოლი
## რევიზორი

დამდგმელი რეჟისორი – გიორგი სიხარულიძე
სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება გიორგი სიხრულიძისა
რეჟისორის თანაშემწე – ვახტანგ ამანათიძე

მონაწილეობენ: გელა ებანოიძე, ენდი ძიძავა, ინგა კაკიაშვილი, გიგა მიქაძე, გოჩა ნემსიწვერიძე, სულხან გოგოლაშვილი, ალექსანდრე ტოროტაძე, ალექსანდრე ფურცხვანიძე, აბელ სოსელია, რეზი ქაროსანიძე, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ჯანგავაძე, კონსტანტინე რობაქიძე, ვახტანგ ამანათიძე თენგიზ ფხაკაძე, ლელა ლომთაძე, ლამარა ვაშაკიძე, გიზო ღელეყვა, დავით გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ კობახიძე, გიორგი ქართველიშვილი, ნანა ცხვირაშვილი, გიგა აბულაძე, ნიკა ძნელაძე
განსაკუთრებული სტუმარი – გაგი შენგელია

პრემიერა შედგა: 2016 წლის 27 სექტემბერს
ხანგრძლივობა: 90 წუთი, ერთ მოქმედებად
ადგილი: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საგასტროლო ჯგუფი: 45 ადამიანი

სპექტაკლის შესახებ:

ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი“ მესხშვილის თეატრში რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ დადგა. ხუთმოქმედებიანი პიესიდან მან შექმნა ერთმოქმედებიანი ორიგინალური კონცეპტუალური სპექტაკლი. რეჟისორმა ორიგინალურად გადაწყვიტა სპექტაკლის ფორმა და ჟანრი; კომედიის ნაცვლად იგავ-არაკი. სპექტაკლი დატვირთულია თეატრალური მეტაფორებითა და სიმბოლოებით. რეჟისორი სცენაზე ქმნის ოთხ განსხვავებულ სამოქმედო სივრცეს, რომლებსაც მუსიკალურად აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნების საეკლესიო საგალობლებით. სიურეალისტური სცენოგრაფია რეჟისორის კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ქართულად წაკითხული რუსული კლასიკა, საზოგადოების და ჩინოვნიკთა მანკიერებები, ფარისევლობა, სიხარბე და გაუმაძღრობა, მარადიული პრობლემატიკა... რეჟისორის მიზანია, მოცემული სიუჟეტით ფარდა ახადოს ქვეცნობიერს და ერთი შეხედვით ბანალური ამბავი კიდევ ერთხელ აქციოს სამყაროს შეცნობის მამხილებელ იარაღად. გიორგი სიხარულიძის „რევიზორში“ კარგად იკითხება მწერლისა და რეჟისორის დამოუკიდებელ ნააზრევთა სინთეზი. სპექტაკლში სხვადასხვა თაობის მსახიობები შესანიშნავ ანსამბლს ქმნიან, რაც კარგად წარმოაჩენს დღევანდელი მესხიშვილის თეატრის სამსახიობო რესურსსა და მხატვრულ შესაძლებლობებს.

რეკომენდაცია:

გიორგი სიხარულიძის მიერ ქუთაისის თეატრში განხორციელებული „რევიზორი“ გოგოლის ნაწარმოების კიდევ ერთი ახლებური, ორიგინალური ინტერპრეტაციაა. რეჟისორმა კუპიურებით, გადაადგილებით, პერსონაჟთა ხასიათებისათვის ახალი შტრიხების დამატებით, კომიკური თუ დრამატულ-ტრაგიკული მომენტების გამძაფრებით, გოგოლის „რევიზორში“ არსებული პრობლემატიკა საინტერესოდ და კომპაქტურად წარმოაჩინა. სპექტაკლში გიორგი სიხარულიძის ფანტაზია და გამომგონებლობა განსაკუთრებულად აისახა სცენოგრაფიაში.

*მაკა ვასაძე, თეატრმცოდნე*



## RECOMMENDED PROGRAM

### THE GOVERNMENT INSPECTOR

Nikolai Gogol

Directed by Giorgi Sikharulidze
Stage Designer – Giorgi Sikharulidze
Costume Designer – Esma Khetsuriani
Music Adapted By Giorgi Sikharulidze
Assistant to Director - Vakhtang Amanatidze

Cast: Gela Ebanoidze, Endi Dzidzava, Inga Kakiashvili, Giga Mikadze, Gocha Nemsitsveridze, Sulkhan Gogolashvili, Alexandre Torotadze, Giorgi Benidze, Abel Soselia, Karosanidze, Giorgi Chachanidze, Jangavadze, Avtandil Sakhamberidze, Konstantine Robakidze, Givi Saginashvili, Giorgi Kartvelishvili, Lela Lomtadze, Lamara Vashakidze (Honored Artist of Georgia, Anzor Kherkhadze (People's Artist of Georgia), (Honored Artist of Georgia)Gizo Ghelekva - (Honored Artist of Georgia), Nikoloz Kobakhidze, Aleksandre Purtskhvanidze, Giga Abuladze, Gagi Shengelia

Date of a Premiere: September 27-28, 2016
Duration: 90 minutes, without intermission
Venue: Shota Rustaveli Professional State Drama Theatre
On tour: 45 persons

About Perfomance:

From the five-act play Giorgi Sikarulidze, artistic director of Theatre, created the one-act original conceptual performance. The director has originally decided the form and genre of the performance - instead of the comedy it is a fable, loaded with theatrical metaphors and symbols. The director creates four different action spaces on stage, united by ecclesiastical hymns of different countries. Surrealistic scenography is the most important part of the concept. Russian classics interpreted in Georgian, vulnerabilities of the society and official figures, greed and hypocrisy...eternal problems. Director's goal is to uncover the subconscious and this, at one glance the banal story turns into an unveiling weapon in the process of knowing universe.
One can feel the synthesis of the director's and author's independent thoughts in the play . The actors of different generations create a beautiful ensemble, which clearly demonstrates acting resources and artistic potential of the Meskhishvili Theatre today.

Recommendation:

Giorgi Sikhrulidze's "The Government Inspector" is an original, modernized version of Nikolai Gogol's work. Director, with a help of notes, relocation, additional features to the characters, aggravation of comic and drama- tragic moments, managed to turn existing problems into a more interesting and solid piece. Director's fantasy and inventing skills are most visible in the scenography.

*Maka Vasadze, Theatre Critic*

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი
## NODAR DUMBADZE PROFESSIONAL YOUTH THEATRE

### თეატრის შესახებ:

90 წლის ყველაზე ახალგაზრდა და ენერგიული! – ეს ჩვენ ვართ – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი. ჩვენ წელს 90 წელი გვისრულდება! დაბადებიდან დღემდე უნიკალურ საქმეს ვემსახურებით – ვზრდით ახალ თაობას, რომელსაც უყვარს თეატრი და ხელოვნება; თეატრის მომავალ მოღვაწეებს, ვცდილობთ, ახალგაზრდები ვაზიაროთ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს და ხელი შევუწყოთ მომავალი ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ჩვენს თეატრს ყველაზე მრავალფეროვანი აუდიტორია ჰყავს -3 წლიდან 18 + ასაკის, ქართულ და რუსულ ენოვანი, თუ ამ ენებს არ ფლობთ, არაუშავრს, ჩვენს თეატრში თქვენთვისაც მოიძებნება სპექტაკლები ტექსტის გარეშე. არანაკლებ საინტერესოა თოჯინური სპექტაკლები. ჟანრობრივი და ტიპიური მრავალფეროვნებაა რეპერტუარის მხრივაც – დრამა, მუსიკალური და ქორეოგრაფიული სპექტაკლები, ზღაპარი, სათავგადასავლო, კომედია და სხვა.

მეგობრული გარემო, საინტერესო დადგმები, ბრწყინვალე შემოქმედებითი გუნდი – ეს მოზარდ მაყურებელთა თეატრია.

გინდათ ახალგაზრდული ჟინი შეინარჩუნოდ? გვეწვიეთ და იმეგობრეთ ჩვენთან.

90 years old but still young, full of energy and life - Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre! Youth Theatre has been working continuously from the beginning and our job is unique – we work with very young generations; we engage them ; we think together with them and make them discover unique world of theatre; we participate use universal values to form a new Georgian society. Our theatre has most various audiences, the repertoire is divided into three age categories – we have plays for children, youth and also adults, several of our performances are performed in two languages – Georgian and Russian. But if you do not know these languages, it's ok – you can also attend plays with no text. Theatre repertoire is rich in genres: drama, comedy, musical, choreography, tales and adventure stories, melodramas and etc. Friendly and creative atmosphere, professional and devoted company, interesting and various plays – this is State Youth Theatre.

**საკონტაქტო ინფორმაცია**
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:
დიმიტრი ხვთისიაშვილი
თეატრის დირექტორი:
თამარ ლორთქიფანიძე
საკონტაქტო პირი:
სოფიო დეკანოზიშვილი
